]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 656
01/04/2020

656-01-4-202004011638

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის განსაზღვრის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ „ე.ე“ ქვეპუნქტების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის N5864-სს დადგენილების, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის N5865-სს დადგენილებისა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID - 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დანტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებისმე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებით“ და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების/შეზღუდვების შესრულებაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური.

2. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებით“ და საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების/შეზღუდვების აღსრულების კონტროლის უზრუნველსაყოფად,– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ამავე სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას გამოყენებულ იქნეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ნოემბრის №254 დადგენილებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა.

3. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ხორციელდება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ნოემბრის №254 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-5 გრაფაში ავტოკალამით მიეთითოს „საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსისა“ ნაცვლად „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5. ადმინისტრაციული ოქმის შენიშვნაში მიეთითოს ჯარიმის ოდენობა და სახაზინო კოდი.

6. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წერილობითი ფორმით შედგენის შემთხვევაში, ოქმი დგება 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან:

ა) ერთი – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო როცა სამართალდამრღვევი არ ესწრება ოქმის შედგენას – ოქმი გაიგზავნება ოქმის შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე. თუ ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა, ოქმი განმეორებით იგზავნება მისი შემდგენისათვის ცნობილ მისამართზე. გზავნილის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ოქმი საჯაროდ გავრცელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე http://kutaisi.gov.ge/. განთავსებით და ჩაბარებულად ითვლება განთავსებიდან მე-20 დღეს;

ბ) მეორე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

7. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავენ ადგილზე და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებენ ადმინისტრაციულ სახდელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ი.უგულავამ.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

11. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე http://kutaisi.gov.ge/.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი